საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2016 წლის 24 თებერვლის
დადგენილება №1937

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე

დანართი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მასწავლებელთა პერსონალის სამსახურში მიღების წესი

1. აკადემიურ დეპარტამენტში მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლის ვაკანსიის ან ვაკანტური აკადემიური დატვირთვის არსებობისას აკადემიური დეპარტამენტის უფროსი მოხსენებითი ბარათით მიმართავს ფაკულტეტის დეკანს, შესაბამისად, მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლის ან მოწვეული მასწავლებლის თანამდებობაზე სათანადო კვალიფიკაციის პირის მიღების თაობაზე. მოხსენებით ბარათს სავარაუდო აკადემიური დატვირთვის მითითებით თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები:
    - ცნობა ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტიდან ვაკანსიის არსებობის შესახებ;
    - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დედანი და ასლი;
    - მონაცემები განათლებისა და სამუშაო გამოცდილების შესახებ (CV);
    - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და ასლი;
    - შრომების სია (არსებობის შემთხვევაში);
    - ცნობა მონიტორინგის დეპარტამენტიდან საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევის ფაქტების არარსებობის შესახებ;
    - ცნობა სწავლების დეპარტამენტიდან შესაბამისი აკადემიური დატვირთვის არსებობის შესახებ;
    - აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებული (დეკანატის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის მონაწილეობით) სხდომის ოქმის ამონაწერი საჩვენებელი მეცადინეობის ჩატარებისა და მიღებაზე რეკომენდაციის მიცემის შესახებ. საჩვენებელი მეცადინეობა უნდა ჩატარდეს პროგრამის ენაზე და მოხდეს აუდიო-ვიდეო ჩაწერა. უცხოურ ენაზე მეცადინეობის ჩატარებისას განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღოსშესაბამისი ენის სპეციალისტმა;
    - სამხედრო აღრიცხვის დოკუმენტის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის);
    - 2 ფოტოსურათი (3X4).
2. ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს საკითხის განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას, როგორც წესი, ფაკულტეტის საბჭოზე. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პირის განცხადება ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმთან და ზემოთ დასახელებულ დოკუმენტებთან ერთად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს;
3. უფროს მასწავლებლად შეიძლება მიღებულ იქნეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და აქვს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი პროფილით მუშაობის არანაკლებ ერთი წლის პედაგოგიური გამოცდილება.
4. ამ წესის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე პოზიციაზე ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელება.